ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 372

“ 19 ” აგვისტო 2025 წ.

ქ. თბილისი

მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების” 35-ე მუხლისა და „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10 14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 აგვისტოს №25.1344.1522 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ათორის“ (ს/ნ 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004) და ქ. თბილისი, ი.აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, განისაზღვროს ამ განკარგულებით გათვალისწინებული შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

ა) „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №641 განკარგულების დანართი №1-ით (თანხის სახით ვალდებულების გასტუმრების მსურველ პირთა სია) განსაზღვრულ პირებს დაემატოს: ივანე ჭურღულია (პ/ნ. 01009003430) და

ვალდებულების შესრულებისათვის გადასაცემ თანხად განისაზღვროს 127 602 (ას ოცდაშვიდი ათას ექვსას ორი) აშშ დოლარი;

ბ) მიეცეს კომპენსაცია - ივანე ჭურღულიას (პ/ნ. 01009003430) 127 602 (ას ოცდაშვიდი ათას ექვსას ორი) აშშ დოლარის ოდენობით;

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის ანგარიშსწორება განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე